განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
25/06/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში 0202
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო თანდილაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ მაღალაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე (სტუდენტი ექსპერტი), ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა 2014 წელს და დღემდე ფუნქციონირებს N 148; 09. 07. 2014 აკრედიტაციის ფარგლებში. პროგრამის მიზანია აღზარდოს საერთაშორისო ბიზნესისა და კომერციის, კვლევის, დაგეგმვისა და მიწოდების განმახორციელებელი, საერთაშორისო ბაზრების ღრმა ცოდნით გამორჩეული მარკეტოლოგი, რომელიც თავისი პრაქტიკული უნარ–ჩვევებით შექმნის კონკურენტულ გარემოს აღნიშნულ სფეროში. პროგრამის მიზანი სრულიად შეესაბამება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას და მაგისტრატურის საფეხურისთვის საჭირო მოთხოვნებს. პროგრამაში პირველი აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები აკრედიტაციის რჩევების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობით, რაც დადებითად აისახა პროგრამის ხარისხზე. უნივერსიტეტი სრულიად უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო მატერიალური და არამატერიალური რესურსით მის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 3 ივნისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში და შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გასაუბრებოდა უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის მსვლელობისას მოწოდებული იქნა ყველა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული პირველადი მოსაზრებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით და არსებული წესის გათვალისწინებით. დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შეთავაზებულია რჩევები პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3, და 2.5 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. გაიცა რეკომენდაციები და რჩევები. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 4.3

კომპონენტი იქნა მიჩნეული მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია არჩევითი სასწავლო კურსების სახით პროგრამის სტუდენტებისათის შეთავაზებული იქნეს ტექნიკური პროგრამების შემსწავლელი კურსები (მონაცემთა დამამუშავებელი პროგრამები, გრაფიკა-დიზაინის პროგრამები სოციალური მედია მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი და ა.შ.);
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის მიზნების გათვალისწინებით თითოეულ სავალდებულო ლექციაში გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობის წილი, რაც ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენების წინაპირობა უნდა გახდეს;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის მიზნების გათვალისწინებით სალექციო კურსებით შეთავაზებულ სწავლება-სწავლის ხერხებს და აქტივობებს დაემატოს თანამედროვე და მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (როგორიცაა, მაგალითად სიმულაციები, ბიზნეს თამაში, როლური თამაში, ფილიპ 66, შებრუნებული საკლასო ოთახი).
4. რეკომენდირებულია სხვადასხვა საგნებში შესწავლილი ტექნიკური პროგრამების გამოყენება სავალდებულო საგნების სწავლება-სწავლის ხერხებში. მაგალითად მარკეტინგული მონაცემთა დამუშავებისათვის აუცილებელი კომპონენტი შეიძლება გახდეს SPSS პროგრამის გამოყენება, რამდენადაც ის უკვე ისწავლება არჩევით საგნად. ასევე CRM პროგრამის სავალდებულო გამოყენება სხვადასხვა სალექციო კურსებში;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგამის მიზნების ფორმულირების შეცვლა, უკეთ რომ ასახოს კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამის რეალური პოტენციალი. რისთვისაც საჭიროა ზოგადი ტერმინების კონკრეტულით შეცვლა;
2. სამაგისტრო პროგამის საერთაშორისოობის ელემენტის გაძლიერება, მის დასახელებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (პრაქტიკის გავლა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ა.შ.);
3. სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად სასურველია პროგრამის განვითარება სამი მიმართულებით: საგნებში პრაქტიკული მეცადინეობების წილის გაზრდა, დამსაქმებლებში საერთაშორისო კომპანიების წილის მნიშვნელოვანი გარზდა და პროგრამაში პრაქტიკული მეთოდების და პროგრამების შემსწავლელი საგნების დამატება. ეს ელემენტები მომდევნო სტანდარტში იქნება დეტალურად განხილული;
4. ინგლისური ენის დამატებითი ლექციების შეთავაზება სტუდენტებისთვის და საჭიროებისამებრ ლექტორებისთვის;
5. პროგრამის დონეზე გაფორმდეს გაცვლითი მემორანდუმები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის უცხოურ საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამებთან;
6. სავალდებულო პრაქტიკის გავლა საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში;
7. ტრანსფერული უნარების განვითარება შესაბამისი სწავლება-სწავლის კომპონენტების გაძლიერებით;
8. სტუდენტების ჩართვა სისტემური და სავალდებულო ფორმით უნივერსტიტში არსებულ მარკეტინგული ლაბორატორიის საქმიანობაში;
9. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სათაური უფრო მეტად იყოს დაახლოებული კვლევის საგანთან და არ მოიცავდეს მხოლოდ ზოგად მიმართულებას;

10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს განთავსებული სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა (ერთი ეგზემპლარი მაინც ბეჭდური სახით);
11. საჭიროა გადამოწმდეს, რომ ყველა ახლად შეძენილი სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში განთავსებული;
12. სისტემური რეგულარული კვლევის ჩატარება პროგრამის ბენჩმარკინგისთვის, რაც უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის შედარებას კონკრეტულ პროგრამებთან, უცხოურ წარმატებულ პროგრამებთან, სკუ-ში არსებულ სხვა მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამებთან და ა.შ. კვლევის შედეგები, დასაქმების ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგებთან ერთად, უნდა აისახოს პროგრამის განვითარების სტრატეგიაში;
13. პროგარმისთვის დადებითი იქნება, თუ მისი ხელმძღვანელობა უფრო გეგმიურად მოახდენს პროგრამის შედარებას უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ იგივე ან მსგავს პროგრამებთან და გაითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს საერთაშორისო ბიზნესისა და კომერციის, კვლევის, დაგეგმვისა და მიწოდების განმახორციელებელი, საერთაშორისო ბაზრების ღრმა ცოდნით გამორჩეული მარკეტოლოგი, რომელიც თავისი პრაქტიკული უნარ–ჩვევებით შექმნის კონკურენტულ გარემოს აღნიშნულ სფეროში. პროგრამის მიზანი სრულიად შეესამება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას და მაგისტრატურის საფეხურისთვის საჭირო მოთხოვნებს. პროგრამის მისიის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა საჭირო რგოლი (პროგრამის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ხარისხის განვითარების სამსახური, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და მაგისტრატურის სტუდენტების), რაც დადებითად აისახა პროგამის მისიაზე, მის მიზნებსა და შინაარსზე. უნივერსიტეტი სრულიად უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო მატერიალური და არამატერიალური რესურსით მის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად

(უნივერსიტეტის და ეროვნული ბიბლიოთეკა. სამეცნიერო ბაზები, პოტენციურ დამსაქმებლებთან გაროფმებული მემორანდუმები, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები…).

აღსანიშნავია, რომ პროგამის მიზნები ზოგჯერ ზოგადია და აკლია კონკრეტიკა პროგრამის რეალური პოტენციალის შესახებ. ზოგადი ტერმინებით ფორმულირებული მიზნებით ძნელია პროგამის კონკურენტი პროგრამებისაგან განსხვავების განსაზღვრა . გარდა ამისა, სამაგისტრო პროგამის „საერთაშორისოობა“ საჭიროებს გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ დასახელება „საერთაშორისო“ სწორი არჩევანია პროგრამის ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე პოზიციონირებისათვის, სტუდენტებისთვის არ არის ცალსახა თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში: არ არიან დასაქმებული საერთაშორისო ბაზარზე და ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული საერთაშორისო პროგრამის არსი და მოლოდინი. პროგრამის ახალი დირექციის ინიციატივით, უკვე გადაიდგა მთელი რიგი სწორი ნაბიჯი საგნების და პროგრამის სტრუქტურის ამ მხრივ გასაუმჯობესებლად. სასურველია, თუ იგივე მოხდება დასაქმების ბაზრის და საერთაშორისო კავშირების დამყარების მიმართულებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგარმის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სამეცნიერო პერსონალთან;
- ბიზნესის ფაკულტეტის სხდომის ოქმები;
- სხვა შიდასაუნივერსიტეტო დოკუენტაცია და ოქმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგამის მიზნების ფორმულირების შეცვლა, რათა უკეთ ასახოს კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამის რეალური პოტენციალი, რისთვისაც საჭიროა ზოგადი ტერმინების კონკრეტულით შეცვლა;
- სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისოობის ხარისხის ამაღლება, მის დასახელებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამისათვის, შეიძლება პროგრამის დონეზე გაფორმდეს რეფერანდუმები საერთაშორისო პროგრამებთან. გარდა ამისა, პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, სასურველია, თუ სტუდენტები საერთაშორისო კომპანიებში გაივლიან სავალდებული პრაქტიკას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) კვალიფიკაციათა აღწერის შესაბამისი სწავლების შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერს პროგრამის დასრულებისას შესაძენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ თეორიული, კონცეპტუალური და პრაქტიკული ცოდნა თანამედროვე მარკეტინგის გამოწვევებსა და ტენდენციებზე, ისინი ასევე აღჭურვილი იქნებიან დარგისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, რაც მათ ნასწავლი მასალის პრაქტიკაში დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებს მისცემს.

რეგულარულად ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის განვითარების სამსახურის მიერ სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემით, რისი შედეგებიც გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროგამაში შემავალი საგნების ჩამონათვალი და მათი შინაარსი. დადებითია საერთაშრისო ბაზრების და მარკეტინგული პროგრამების შემსწავლელი საგნების დამატება. თუმცა, მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია კვლავ გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით და პროგამას დაემატოს ტექნიკური ხასიათის სალექციო კურსები და პრაქტიკის ელემენტები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგნების დონეზე.

საერთო ჯამში, პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს დასაქმების ბაზარზე იყვნენ კონკურენტუნარიანი და/ან სწავლა განაგრძონ განათლების შემდგომ საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ○ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ○ პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების რუკა;
- ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან, განმახორციელებელ პერსონალთან;
- ○ გამოკითხვის (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლები) კითხვარები;
- ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად სასურველია პროგრამის განვითარება სამი მიმართულებით: საგნებში პრაქტიკული მეცადინეობების წილის გაზრდა, დამსაქმებლებში საერთაშორისო კომპანიების წილის მნიშვნელოვანი გარზდა და პროგრამაში პრაქტიკული მეთოდების და პროგრამების შემსწავლელი საგნების დამატება. ეს ელემენტები მომდევნო სტანდარტში იქნება დეტალურად განხილული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს მის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული მის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მისასალმებელია, ინგლისური ენის სამუშაო დონის წინაპირობის არსებობა, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის საერთაშორისო ხასიათთან.

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს. საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების საკითხები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე (www.ciu.edu.ge). სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ფაკულტეტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინგლისური ენის დამატებითი ლექციების შეთავაზება სტუდენტებისთვის და საჭიროებისამებრ ლექტორებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ოთხეტაპიანი მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსების, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტისაგან. საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 იქნვრის N120/ბ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მარკეტინგში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულიად შეესაბამება მის მიზნებს და საგანმანათლებლო საფეხურს. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაფიქსირდა პროგრამის წინა აკრედიტაციის რჩევების და რეკომენდაციების გათვალსიწინებით. დადებითია სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების მოდულში ახალი სასწავლო კურსების დამატება. სამომავლოდ სასურველია პროგრამაშის შინაარსში გაძლიერდეს ორი ასპექტი: სტუდენტის საერთაშორისო გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების რუკა;
- ინტერვიუ პროგრამი სხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

- არჩევითი სასწავლო კურსების სახით პროგრამის სტუდენტებისათის შეთავაზებული იქნეს ტექნიკური მეთოდების და პროგრამების შემსწავლელი კურსები (ასეთი საგნებია მონაცემთა დამამუშავებელი პროგრამები, გრაფიკა-დიზაინის პროგრამები

სოციალური მედია მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი და ა.შ.);
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის დონეზე გაფორმდეს გაცვლითი მემორანდუმები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის უცხოურ საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, თავის მხრივ, შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს. ცალკეულ სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება სილაბუსში გაწერილი შეფასების მეთოდების მიხედვით. დადებითია, რომ სილაბუსის შედგენისას ჩართულია აკადემიური პერსონალი და გათვალისწინებული იქნა, ერთის მხრივ, წინა აკრედიტაციის რჩევები და რეკომენდაციები და, მეორეს მხრივ, ბაზრის კვლევის შედეგები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. მისასალმებელია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ასევე დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", თუმცა, სასურველია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კიდევ უფრო გაიზარდოს პრაქტიკული სავარჯიშოები და აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების წილი. სალექციო კურსებს გაამდიდრებს მარკეტინგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული უახლესი

ლიტერატურის/სასწავლო მასალების გამოყენება.
მიზაშეწონილია, ასევე სასწავლო პროგრამის შიგნით გაიზარდოს პრაქტიკული სამუშაოს წილი. მაგალითად, „აკადემიური წერის“ შუალედური და საბოლოო გამოცდები სასურველია, თუ სრულიად დაეთმობა აკადემიური წერის პრაქტიკას საკითხის თეორიული ასპექტების ნაცვლად. იგივე რეკომენდაცია შეიძლება გაიცეს სხვა საგნებზეც. მაგალითად საგანში „გაყიდვები და ბიზნესის განვითარება“, პრაქტიკული ელემენტების გაზრდა გაყიდვების პრაქტიკით ან სიმულაციური თამაშებით, სტუდენტში პროგრამის მიზნებით გათვლილ უნარ-ჩვევებს აამაღლებს. კურსებში პრაქტიკის ნაწილის გაძლიერება ასევე შეიძლება პრაქტიკოსების ვიზიტით, რაც სავალდებულო და არჩევითი საგნების უმრავლებაში შეიძლება დაინერგოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან,
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის მიზნების გათვალისწინებით თითოეულ სავალდებულო ლექციაში გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობის წილი, რაც ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენების წინაპირობა უნდა გახდეს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსების, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტისაგან. თითოეული კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტში პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრამსფერული უნარ-ჩვევების განვითარებას.
სამეცნირო და კვლევითი უნარების გამოსამუშავებლად, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური წერის და საერთაშორისო ბაზრების მარკეტინგული კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსებს. მათი პრაქტიკული გამოყენაბა შესაძლებელია

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. სამაგისტრო ნაშრომების გაცნობამ აჩვენა, რომ საჭიროა ორივე სალექციო კურსში პრაქტიკული მუშაობის კომპონენტის გაძლიერება. მისასალმებელია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებსა და პროექტებში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს სავალდებული 10 კრედიტიან პრაქტიკას, რასაც სტუდენტი გადის სხვადასხვა ბიზნეს–ორგანიზაციებში. დადებითია, რომ უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ამ ორგანიზაციასთან, პროგრამის საერთაშორისო პროფილის გათვალისწინებით, სასურველია, რომ მომავლში უფრო მეტი პრაქტიკა განხორციელდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ იმუშაონ საერთაშორისო მაშტაბის საკითხებზე. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს, სალექციო კურსებში სილაბუსით გათვალისწინებულია მთელი რიგი შეფასების მეთოდები, რაც სწორედ ასეთი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ესენია ჯგუფური მუშაობა, წეითი და ზეპირი პრეზენტაციები კვლევიტი და მალიტიკური სავარჯიშოები. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსით გათვალისწინებულია, რომ თითოეული საგანი უზრუნველყოფს სამივე ტიპის უნარის განვითარებას სხვადასხვა ინტენსივობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები; ○ სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები; ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან; ○ ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“; ○ ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის მასალები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამი სხელმძღვანელთან და პროგრამის სტუდენტებთან; ○ ინტერვიურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სავალდებულო პრაქტიკის გავლა საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში; ○ ტრანსფერული უნარების განვითარება შესაბამისი სწავლება-სწავლის კომპონენტების გაძლიერებით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, იგი შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდოლოგია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდს ეფუძნება და მოიცავს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებისა და მათი პასუხისმგებლობის გაზრდის მეთოდებს.

სალექციო/სასწავლო კურსებში სწავლის პროცესში გამოყენებული სწავლება/სწავლის ხერხები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, მოქნილი, ინტერაქტიული და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს, თუმცა შესაძლებელია მათი გამრავალფეროვნება პრაქტიკული ელემენტების და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიმართულებით.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში სტიდენტები არ ან არასაკმარისად ფლობენ დამოუკიდებლად მუშაობისათვის საჭირო უნარებს და/ან ანალიტიკური მუშაობის ინსტრუმენტებს. ამ ასპექტის გაძლიერება დაეხმარება პროგრამას მისი მიზნების წარმატებით განხორციელებაში. ეს შესაძლებელია ისეთი ხერხების დანერგვით, რომლებიც მარკეტინგის დისციპლინის თანამედროვე გამოწვევებს უკეთ პასუხობს. ამ მიმართულებით ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტში არსებული მარკეტინგის ლაბორატორიაში პროგრამის სტუდენტების უფრო სისტემური და/ან სავალდებულო ჩართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამი სხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის მიზნების გათვალისწინებით სალექციო კურსებით შეთავაზებულ სწავლება-სწავლის ხერხებს და აქტივობებს დაემატოს თანამედროვე და მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (როგორიცაა, მაგალითად სიმულაციები, ბიზნეს თამაში, როლური თამაში, ფილიპ 66, შებრუნებული საკლასო ოთახი.
- სხვადასხვა საგნებით შესწავლილი ტექნიკური მეთოდების გამოყენება პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლება-სწავლის ხერხებში. მაგალითად მარკეტინგული მონაცემთა დამუშავებისათვის აუცილებელი კომპონენტი შეიძლება გახდეს SPSS პრგრამის გამოყენება, რამდენადაც ის უკვე ისწავლება არჩევით საგნად. ასევე CRM პროგრამის

სავალდებულო გამოყენება სხვადასხვა სალექციო კურსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სტუდენტების ჩართვა სისტემური და სავალდებულო ფორმით უნივერსტიტში არსებულ მარკეტინგული ლაბორატორიის საქმიანობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია. პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი სამართლიანი, გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურების მიხედვით. საგამოცდო ცენტრი ახორციელებს გამოცდების მონიტორინგს, რაც სწავლის ხარისხის ერთგვარი გარანტია. სასწავლო კურსებში, შუალედური და დასკვნითი დამოცდის გარდა, წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები, რომლებიც ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას, თუმცა შესაძლებელია მათში პრაქტიკული სავარჯიშოს წილის გაზრდა. პროგრამის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ცტუდენტებს შეუძლიათ მიღწეული შედეგების გასაჩივრება უნივერსიტეტში დადგენილი წესით. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება (100 ქულიანი სისტემა) ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური შეფასება (60 ქულა) იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შუალედური შეფასების ფარგლებში. დასკვნითი გამოცდა ორმოც ქულიანაი საუნივერსიტეტო პრაქტიკის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამი სხელმძღვანელთან და პროგრამის სტუდენტებთან; ○ ინტერვიურ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; ○ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ელექტრონული და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათების ცხრილი წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბაზაზე და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტების ძირითადი ნაწილი დასაქმებულება და ამ მიზეზით ვერ ერთვებიან საუნიერსიტეტო აქტივობებში, მაგრამ ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ უნივერსიტეტის შეთავაზებებს ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივოებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ ხარისხის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კანცლერის 2018 წლის 26 აპრილის #01-36 ბრძანება - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ○ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანება - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ელექტრონული პორტალი „გონი“ - goni.ciu.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გაწერილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში (კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანება), სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დებულების მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტში ვიზიტისას სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა იმის ტენდენცია, რომ სათაურები ძალიან ზოგადადაა ჩამოყალიბებული, ამიტომ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სათაური უფრო მეტად იყოს დაახლოებული კვლევის საგანთან და სპეციფიკასთან, არ მოიცავდეს მხოლოდ ზოგად მიმართულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ ხარისხის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ვიზიტის ფარგლებში შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომი; ○ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანება - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“; ○ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანება - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ელექტრონული პორტალი „გონი“ - goni.ciu.edu.ge.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სათაური უფრო მეტად იყოს დაახლოებული კვლევის საგანთან და არ მოიცავდეს მხოლოდ ზოგად მიმართულებას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი

კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის წესით ირჩევა სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის კომპეტენცია დადასტურდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით, ასევე ბოლო 5 წელში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით. ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში კი - სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილების, ცოდნის და კომპეტენციის არსებობით. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოღვაწეობს ხარისხი უნივერსიტეტში სისტემატიურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტში მოქმედებს „საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ასევე „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება“. აღნიშნულის მიხედვით უზრუნველყოფილია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; კერძოდ: საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 9 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი. სულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან არის 13/82. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. მას გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა აღნიშნული პროგრამის სტრუქტურის ცვლილება, მუდმივად მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში. იგი გარდა კვლევითი საქმიანობისა ჩართულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, ასევე სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სხვა დამხმარე პერსონალის ხელშეწყობით. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ

განხორციელებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას. სტუდენტები მუდმივად გრძნობენ მათ მხარდაჭერას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასება ასევე ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ○ ბიზნესის ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი; ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები; ○ მოწვეული პერსონალის CV; ○ მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის შედეგები. ○ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ➢ უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ინტერნაციონალიზაციას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს "პერსონალის მართვის პოლიტიკა და ეფექტიანობის წესი", რომლითაც განსაზღვრულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმები. აღნიშნული გულისხმობს ჩატარებული ლექციების მონიტორინგს, სტუდენტთა გამოკითხვებს და თვითშეფასებას. შეფასება ხდება შესაბამისი

კრიტერიუმების მიხედვით. შედეგების გაანალიზებასა და შესაბამისი ზომების მიღებაში ჩართულები არიან უნივერსიტეტის მმართველი რგოლები. როგორც ინტერვიუს შედეგად გამოირკვა ამოქმედდა პერსონალის რანგირების წესი, რომელიც გულისხმობს პერსონალის წახალისებას, რაც მათთვის დამატებითი მოტივაციის საფუძველი ხდება. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების გამოცემაში. საუკეთესი ნაშრომის ავტორი ჯილდოვდება „თამარის“ პრემიით. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მუდმივად ტარდება საჯარო ლექციები, ტრენინგები, კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები. ტარდება კონკურსები შიდა გრანტის მოსაპოვებლად, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტში შექმნილია შესაბამისი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვ.). უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია უნივერსიტეტის 2018-2026 წლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია მთელი რიგი საერთაშორისო აქტივობებისა. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, ისინი უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ჩართულები არიან სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ეფექტიანობის წესი; ○ უნივერსიტეტის 2018-2026 წლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, ○ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ტრენინგების, საჯარო ლექციების, კონფერენციების შესახებ ○ ინტერვიურება აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან ○ უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი ტერიტორია, სათანადო ინვენტარით და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი აუდიტორიები, რომელთაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს IT სამსახური, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები.
უნივერსიტეტს გააჩნია საგამოცდო ცენტრი და თანამედროვე კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა გამოყოფილი სამუშაო სივრცეებით, სამკითხველო დარბაზებით, სათანადო ტექნიკითა და წიგნადი ფონდით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Publishing , Academic Search Elite, Business Source Elite, Master FILE ELITE, Library Information Science & Technology Abstracts (LISTA) , Regional Business News, Cambridge University Press, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books. ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია საბიბლიოთეკო საქმეში. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი და საძიებო სისტემა.
ექსპერტების მიერ მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი ლიტერატურა (არსებობდა მხოლოდ ელექტრონული სახით, თუმცა არსებობდა ინვოისი იმის დასტურად, რომ უნივერსიტეტი ელოდებოდა წიგნის მოწოდებას). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ გრძელვადიან ინვესტიციებში გათვალისწინებულია წიგნადი ფონდის მუდმივი განახლების ფინანსური რესურსი.
სხვადასხვა ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და აღრიცხვისთვის უნივერსიტეტში გამოიყენება პროგრამა „გონი“. მისი საშუალებით როგორც სტუდენტი, ასევე პერსონალი იღებს და აფიქსირებს მისთვის საჭირო სხვადასხვა ინფორმაციას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტურ მართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- ვიზუალური დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს განთავსებული სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა (ერთი ეგზემპლარი მაინც ბეჭდური სახით)
- საჭიროა გადამოწმდეს, რომ ყველა ახლად შეძენილი სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში განთავსებული

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ნათელი წარმოდგენა მოგვცა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად არის გაწერილი 2019 წლის პირველი და მეორე ნახევრებისთვის. ირკვევა, რომ შემოსავლებისა (95000 ლარი) და ხარჯების (31550 ლარი) მაჩვენებლები იძლევა პროგრამის ფინანსური მდგრადობის ოპტიმიზმს. გარდა ამისა წარმოდგენილია ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტიც, რომელშიც ასევე დეტალურად არის გაწერილი ფაკულტეტის შემოსავლებისა (2099 583 ლარი) და ხარჯების (442 290 ლარი) ნაწილი ბიუჯეტის მუხლების მიხედვით. უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია; ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები (შემოსავლები სხვადასხვა პროექტებით განხორციელებული რეალიზაციიდან), როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო მარკეტინგის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი; ○ ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ პროგარმის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სტრუქტურული ერთეულის სხვა თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის განხორციელების ყველა საფეხურზე: პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება (მიმდინარე შეფასებები და შედეგების ანალიზი), შემოწმება და განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური პროგრამის მუდმივ მონიტორინგსა და ზრუნავს მის სრულყოფაზე. ასევე, უზრუნველყოფს აკადემიური და კვლევითი აქტივობების მაღალ ხარისხის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და პროგრამის ფარგლებში დასაქმებული აკადემიური პერსონალის პროფესიულ შეფასებას და მუდმივ განვითარებას. პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ხარისხის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და ხარიხის შეფასების პროცესში. ასევე, ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებასა და მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პროგრამის შიდა ხარისხის მუდმივი შეფასება. ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების საქმიანობის და პროდუქტიულობის შეფასებას, სტუდენტთა გამოკითხვას პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით და პროგრამის სწავლის შედეგების შე-ფასებას. ასვე, ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა გამოცდილებას და დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და რჩევებს.

საჭიროების შემთხვევაში ხდება კოლეგების მიერ ლექციაზე დასწრება პროგრამის ხარისხის შეფასების მიმდინარე მონიტორინგის თვალსაზრისით. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან ერთად განიხილავს პროგრამას მასში შემავალი ყოველი კომპონენტის დონეზე. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით, ლექტორები განიხილავენ პროგრამაში ე. წ. გადაფარვების აღმოფხვრისა და პროგრამაში შემავალი საგნების განახლება-დახვეწის საკითხებს. ფაკულტეტის დეკანის ჩართულობით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობა წინასწარ განსაზღვრული შეფასები კრიტერიუმების მიხედვით. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის დადგენილი ხარისხით განხორციელებასა და განითარებაში ჩართულია უნივერისტეტის ადმინისტრაცია. კანცლერი ხელს უწყობს უნივერისტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესს პროგრამაში ჩართული პროფესორ მასწავლებლების უცხოეთის უნივერსიტეტებში სტაჟირებისა და სხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებისათვის ტრენინგების ჩატარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი იწვევს შესაბამის უცხოელ ექსპერტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები, კვლევები და შედეგები; ○ უნივერსიტეტის თვითშფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ ხარისხის გარე შეფასების შედეგებს პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად იყენებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ დასკვნას. ასევე, დამსაქმებლებს,

კურსდამთავრებულებს, დარგის ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის ხარისხზე პასუხისმგებელი სხვა თანამშრომლები ითვალისწინებენ გარე ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. ფაკულტეტის საბჭო პროგრამის დახვეწის მიზნით ატარებს პერიოდულ შეხვედრებს დამსაქმებლებთან და დარგის სპეციალისტებთან. პროგრამა ეყრდნობა და ითვალისწინებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ აკრედიტაცია/რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებსა და დასკვნებს. 2014 წელს წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა რჩევები და რეკომენდაციები უნივერსიტეტის პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა უსდ-ს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი" - აკრედიტაციის ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, 2014 წ. ○ დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“; ○ ინტერვიუ ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანლეთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება სისტემური რეგულარული კვლევის ჩატარება პროგრამის ბენჩმარკინსითვის, რაც უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის შედარებას კონკრენტ პროგრამებთან, უცხოეურ წარმატებულ პროგრამებთან, სკუ-ში არსებულ სხვა მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამებთან და ა.შ. კვლევის შედეგები, დასაქმების ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგებთან ერთად, უნდა აისახოს პროგრამის განვითარების სტრატეგიაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

მომზადებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“ ერთ-ერთი ამოცანაა საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება. უნივერსიტეტი სწორედ ამ დოკუმენტით ხელმძღვანელობს პროგრამის მართვის აღნიშნულ ნაწილში. უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასები მიზანია, პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოვლენა, რეკომენდაციების განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა მომავალში მსგავსი უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, რაც შემდგომში უზრუნველყოფს პროგრამის მუდმივ დახვეწასა და განვითარებას. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა კვლევების საფუძველზე. ყოველი სემესტრის ბოლოს კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა, მოდიფიცირება ან/და განახლება. კერძოდ, საგნებისა და ლიტერატრის გადახალისება, სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და სხვ. სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევებით მიღებული მონაცემების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით ხდება განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება კოლეგების მიერ ლექციაზე დასწრებით. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და დამატებითი დოკუმენტაცია, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები უსდ-ს დაინტერესებულ მხარეებთან აჩვენებს, რომ კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და ითვალისწინებს მათ შეფასებებსა და რჩევებს პროგრამის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება“; ○ ინტერვიუ ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანლეთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგარმისთვის ძალიან დადებითი იქნება, თუ მისი ხელმძღვანელობა უფრო გეგმიურად მოახდენს პროგრამის შედარებას უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ იგივე ან მსგავს პროგრამებთან და გაითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო თანდილაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
თამარ მაღალაშვილი

მაია ჭინჭარაშვილი

დავით ბურჯანაძე